
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 აგვისტოს დადგენილება №493 – ვებგვერდი, 10.08.2020წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 12 აგვისტოს დადგენილება №495 – ვებგვერდი, 12.08.2020წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 აგვისტოს დადგენილება №526 – ვებგვერდი, 21.08.2020წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 აგვისტოს დადგენილება №547 – ვებგვერდი, 31.08.2020წ.

## მუხლი 16<sup>3</sup>. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 სექტემბრის დადგენილება №601 – ვებგვერდი, 24.09.2020წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 6 ოქტომბრის დადგენილება №613 – ვებგვერდი, 06.10.2020წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ოქტომბრის დადგენილება №624 – ვებგვერდი, 15.10.2020წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ოქტომბრის დადგენილება №631 – ვებგვერდი, 19.10.2020წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №659 – ვებგვერდი, 03.11.2020წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 ნოემბრის დადგენილება №715 – ვებგვერდი, 27.11.2020წ.

## მუხლი 16<sup>4</sup>. (ამოღებულია)

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 15 ოქტომბრის დადგენილება №624 – ვებგვერდი, 15.10.2020წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 ოქტომბრის დადგენილება №636 – ვებგვერდი, 20.10.2020წ.  
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 ნოემბრის დადგენილება №659 – ვებგვერდი, 03.11.2020წ.

### თავი IV. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში დროებითი ღონისძიებები

## მუხლი 17. სოციალური დაცვის მიმართულება

1. სახელმწიფო გასაცემლების (სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, სოციალური პაკეტი და ა.შ.) გარდამავალ ეტაპზე უწყვეტად გაცემის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სოციალური მომსახურების სააგენტომ (შემდგომში – სააგენტო) 2022 წლის 1 მაისამდე არ განახორციელოს სახელმწიფო გასაცემლების შეჩერება, მიუხედავად კანონმდებლობით დადგენილი შეჩერების საფუძვლ(ებ)ის წარმოშობისა, გარდა პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისა. ამ შემთხვევაში, გასაცემლის ადმინისტრირება განხორციელდება შესაბამისი გასაცემლის ადმინისტრირებისთვის კანონმდებლობით დადგენილი პირობებით, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს შეუჩერდეთ სახელმწიფო გასაცემლის გაცემა ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

2. შესაბამისი სახელმწიფო გასაცემლების ადმინისტრირების ორგანო გათავისუფლდეს გასაცემლის ადმინისტრირების ვალდებულებისაგან, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს გასაცემლის შეჩერება, გარდა პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნისა, რა დროსაც გასაცემლის ადმინისტრირება განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პირობებით.

2<sup>1</sup>. სააგენტო უფლებამოსილია, სახელმწიფო გასაცემლებისა და სოციალური დახმარებების დანიშვნა, განახლება და/ან მათ ადმინისტრირებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების წარმოება განხორციელოს ელექტრონული ფორმით მიწოდებული განცხადების და/ან მატერიალური დოკუმენტის ელექტრონული ასლის საფუძველზე.

3. (ამოღებულია - 01.06.2020, №344).

4. „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზისთვის საჭირო ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 თებერვლის №64/ნ ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად გაცემულ იმ სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერებსა (ფორმა №IV-50/4) და, შესაბამისად, ამ ამონაწერებით გათვალისწინებულ სტატუსებს, რომელთა საფუძველზე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მორიგი გადამოწმების და/ან მოქმედების დასრულების ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 1 დეკემბერი და შემდგომი პერიოდი, შეუჩარჩუნდეთ იურიდიული ძალა 2022 წლის 1 მაისამდე. ამ ვადის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი სახელმწიფო გასაცემლის გაცემის უწყვეტობის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ხოლო ვადის ამოწურვის შემდეგ ადმინისტრირება განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი პირობებით.





4<sup>1</sup>. სახელმწიფო გასაცემლის მიმღებ პირებს, რომლებზეც გავრცელდა ამ მუხლის მე-4 პუნქტის მოქმედება და 2022 წლის 1 მაისამდე ვერ წარმოადგინეს შპმ სტატუსის დამადასტურებელი ახალი დოკუმენტი (სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერი), თუ 2022 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით ხელახლა მიენიჭებათ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი და ამავე ვადაში სახელმწიფო გასაცემლის დანიშვნის მოთხოვნით განცხადებითა და საჭირო დოკუმენტით (სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერი) მიმართავენ სააგენტოს, სახელმწიფო გასაცემელი დაენიშნებათ მიმართვის თვის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან და აუნაზღაურდებათ 2022 წლის 1 მაისიდან მიუღებელი თანხა, შეზღუდული შესაძლებლობის ახალი სტატუსის შესაბამისი სახელმწიფო გასაცემლის ოდენობით.

5. (ამოღებულია - 31.12.2021, №640).

5<sup>1</sup>. 2022 წლის 1 აპრილამდე, „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №262 დადგენილების ფარგლებში, სააგენტომ არ განახორციელოს ამავე დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბენეფიციარების ოჯახების ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის გადამოწმება (ბენეფიციარების ცხოვრების ფაქტის დადასტურების მიზნით) და ფულადი დახმარება გაიცეს ამ პროგრამის ფარგლებში სააგენტოს მიერ ადმინისტრირებულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით, გარდა ამავე პროგრამის ფარგლებში დადგენილი გამოწვევებისა (სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოებული ბაზის მიხედვით: გარდაცვალება, მოქალაქეობის შეწყვეტა ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული მონაცემთა ბაზის მიხედვით – საზღვრის კვეთა).

6. (ამოღებულია - 31.12.2021, №640).

6<sup>1</sup>. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (შემდგომში – მონაცემთა ბაზა) რეგისტრაციის და/ან „საარსებო შემწეობის“ დამატებითი ადმინისტრირების კუთხით, 2022 წლის 1 აპრილამდე:

ა) მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალი გადამოწმება, მიუხედავად სარეიტინგო ქულის ოდენობისა, არ განხორციელდება სააგენტოს ინიციატივით და/ან „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით გათვალისწინებული კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში სხვადასხვა წყაროდან მიღებული და/ან აღმოჩენილი (გამოვლენილი) დადასტურებული ინფორმაციის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის პირველადი ან განმეორებითი გადამოწმება მოთხოვნილია უშუალოდ ოჯახის მიერ;

ბ) მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ 120 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებთან მიმართებით, სააგენტომ უწყვეტად გააგრძელოს ფულადი სოციალური დახმარების – საარსებო შემწეობის გაცემა, მიუხედავად სააგენტოს ინიციატივით „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებითა და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებით გათვალისწინებული კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ან/და სხვადასხვა წყაროდან მიღებული და/ან აღმოჩენილი (გამოვლენილი) დადასტურებული ინფორმაციისა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განმეორებითი გადამოწმება მოთხოვნილია უშუალოდ ოჯახის მიერ;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (საარსებო შემწეობის უწყვეტად გაცემა) საარსებო შემწეობის ოდენობა განისაზღვრება მონაცემთა ბაზაში არსებული მონაცემების (ოჯახის წევრთა რაოდენობა და სარეიტინგო ქულა) მიხედვით, გარდა ოჯახის წევრ(ებ)ის გარდაცვალების ან სპეციალიზებულ/პენიტენციურ დაწესებულებაში ან მინდობით აღზრდაში განთავსების ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ ზედიზედ სამ თვეზე მეტი ხნის ვადით გასვლისა, რა დროსაც, კომპეტენტური ორგანოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მოხდება საარსებო შემწეობის ავტომატური გადაანგარიშება ამ წევრ(ებ)ის კუთვნილი თანხის გამოკლებით;



გარდაცვალებისა და პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების შემთხვევაში – ოჯახის წევრის გამოკლების შემდგომი თვიდან, სპეციალიზებულ დაწესებულებაში ან მინდობით აღზრდაში განთავსების შემთხვევაში – სააგენტოს მიერ ინფორმაციის მიღების თვიდან (თუ თანხა გადარიცხულია მომდევნო თვიდან), ხოლო საზღვრის კვეთის შემთხვევაში – საზღვრის კვეთის სამთვიანი ვადის (თვეთა ათვლისას საზღვრის კვეთის თვე ითვლება პირველ თვედ) გასვლის შემდგომი თვიდან;

დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში (პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსება, სპეციალიზებულ დაწესებულებაში ან მინდობით აღზრდაში განთავსება, საზღვრის კვეთა), გამოკლებული წევრ(ებ)ის უკან დაბრუნების/დამატების შემთხვევაში, სააგენტო, ოჯახის მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ხელახალ გადამოწმებას, სხვა შემთხვევაში საარსებო შემწეობის გაცემა გაგრძელდება გადაანგარიშებული ოდენობით, ამ წევრ(ებ)ის კუთვნილი თანხის გამოკლებით;

ე) თუ ოჯახი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის/შეფასების შედეგად მოიპოვებს საარსებო შემწეობის მიღების უფლებას, სააგენტო ვალდებულია, საარსებო შემწეობის დანიშვნის პროცედურა განახორციელოს ავტომატურად, სააგენტოს უფლებამოსილი პირის ოჯახში ვიზიტის გარეშე;

ვ) სააგენტო არ არის უფლებამოსილი, შეწყვიტოს ოჯახის რეგისტრაცია მონაცემთა ბაზაში „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძვლის არსებობისას. შესაბამისად, სარეიტინგო ქულის მინიჭება უნდა განხორციელდეს მონაცემთა ბაზაში არსებული მონაცემების შესაბამისად;

ზ) სააგენტო არ არის უფლებამოსილი, შეწყვიტოს ოჯახის რეგისტრაცია მონაცემთა ბაზაში, თუ ოჯახის მიერ დარღვეულია „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის №126 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები, ასევე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 20 მაისის №141/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების და ამ ოჯახებში მცხოვრებ ბავშვთა შესახებ ინფორმაციის აღრიცხვის და რეფერირების წესის“ მე-14 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ოჯახი სააგენტოს უფლებამოსილ პირს არ აძლევს ქონების/დოკუმენტების დათვალიერების საშუალებას ან ოჯახი უარს აცხადებს დეკლარაციის/ბავშვის დეკლარაციის შევსებაზე და/ან მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციაზე ან თუ ოჯახის ყველა წევრს არ გააჩნია დეკლარაციის შევსებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული საბუთები ან ოჯახმა, მისამართის ცვლილების საფუძველით, განმეორებითი შეფასების განაცხადით მიმართა სააგენტოს და ახალ მისამართზე სოციალური აგენტის ვიზიტ(ებ)ის შედეგად დასტურდება, რომ ოჯახი არ ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე;

თ) სააგენტო უფლებამოსილია, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებისა და „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №262 დადგენილების ფარგლებში, პროგრამის ადმინისტრირების მიზნებისთვის, ბავშვ(ებ)ის დაბადების მოწმობის სანაცვლოდ ეკვივალენტურ დოკუმენტად მიიჩნიოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ელექტრონული ბაზის მონაცემები, რაც სააგენტოს მიეწოდება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ, ურთიერთშეთანხმებული ფორმატით.

6<sup>2</sup>. 2022 წლის 1 აპრილის შემდეგ, მონაცემთა ბაზისა და „საარსებო შემწეობის“ ადმინისტრირება გრძელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესების შესაბამისად, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) სააგენტომ უწყვეტად გააგრძელოს „საარსებო შემწეობის“ გაცემა, სარეიტინგო ქულის შენარჩუნება იმ ოჯახებზე, რომლებსაც ამ მუხლის 6<sup>1</sup> პუნქტის მოქმედების პერიოდში წარმოემვათ მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის შეწყვეტის და/ან „საარსებო შემწეობის“ შეჩერების/შეწყვეტის საფუძველები, მანამ, სანამ



არ განხორციელდება ამ ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმება ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და გადამოწმების შედეგებიდან გამომდინარე განხორციელოს შემდგომი ადმინისტრირება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) სააგენტომ მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული ოჯახების (მათ შორის, იმ ოჯახების, რომლებზეც გავრცელდა 6<sup>1</sup> პუნქტის მოქმედება) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გადამოწმება უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტ(ებ)ით დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად;

გ) სააგენტო არ არის უფლებამოსილი, განხორციელოს რაიმე სხვა დამატებითი ადმინისტრირების ღონისძიება, გარდა ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედებისა, მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ ოჯახებთან მიმართებით.

7. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №670 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2020 წლის სახელმწიფო პროგრამის“ სხვადასხვა ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებებში მომსახურების მიწოდება (გარდა 24-საათიანი სერვისებისა და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამისა) შეჩერდეს 2020 წლის 1 ივლისამდე. მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის აღნიშნულ პერიოდში მომსახურების ანაზღაურება განხორციელდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტით დადგენილი პირობებით.

8. ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი წლის „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“, „ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის“, „დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“, „განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამისა“ და „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ მხოლოდ დღის ცენტრების კომპონენტის ფარგლებში არსებულ მომსახურებებში ბენეფიციარების ან/და დასაქმებული პერსონალის საერთო რაოდენობის 60%-ზე მეტის დაუსწრებლობის შემთხვევაში, მომსახურებას შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება მომსახურების შეჩერების შესახებ, რომელსაც წერილობით აცნობებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ან/და სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებების მიწოდების აღდგენამდე მათი დაფინანსების პრინციპები, წესი და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

10. ამ მუხლის საფუძველზე გაცემული სახელმწიფო გასაცემლების/სოციალური დახმარებების თანხები არ ჩაითვალოს ზედმეტად გაცემულად და არ დაექვემდებაროს უკან დაბრუნებას.

- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 1 ივნისის დადგენილება №344 – ვებგვერდი, 01.06.2020წ.
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 ოქტომბრის დადგენილება №651 – ვებგვერდი, 29.10.2020წ.
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 ნოემბრის დადგენილება №715 – ვებგვერდი, 27.11.2020წ.
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №764 – ვებგვერდი, 21.12.2020წ.
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 იანვრის დადგენილება №20 – ვებგვერდი, 21.01.2021წ.
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის დადგენილება №37 – ვებგვერდი, 29.01.2021წ.
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის დადგენილება №193 – ვებგვერდი, 28.04.2021წ.
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 ივნისის დადგენილება №313 – ვებგვერდი, 30.06.2021წ.
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 ივლისის დადგენილება №373 – ვებგვერდი, 27.07.2021წ.
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის დადგენილება №640 – ვებგვერდი, 31.12.2021წ.
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 იანვრის დადგენილება №24 – ვებგვერდი, 18.01.2022წ.
- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 თებერვლის დადგენილება №54 – ვებგვერდი, 07.02.2022წ.
- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 მარტის დადგენილება №151 – ვებგვერდი, 29.03.2022წ.

**მუხლი 18. სამედიცინო დახმარების მიმართულება**

1. საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID-19-ის შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ



შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის მინისტრის ბრძანებით განხორციელდეს სპეციალური სამედიცინო დაწესებულებების განსაზღვრა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, სამინისტროსთან კოორდინაციით შერჩეულ დაწესებულებებში განხორციელდეს COVID-19-ის საექვო და დადასტურებული შემთხვევების დიაგნოსტიკისა და მართვისთვის სამედიცინო დაწესებულებების საწოლფონდის მობილიზება ან გამოყოფა სამინისტროს მითითების შესაბამისად, მათ შორის:

ა) არსებული/მიმდინარე პაციენტების გადაყვანა (დაწესებულებაში საჭირო საწოლფონდის მობილიზება) შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებში; და/ან

ბ) მათ ბაზაზე არსებული საწოლფონდის (მათ შორის, რენიმაციული) გაზრდა შესაძლებლობის ფარგლებში და, საჭიროების შესაბამისად, სამედიცინო საგნების, მასალების, აპარატურისა და მედიკამენტების შესყიდვა;

გ) COVID-19-ის საექვო და დადასტურებული შემთხვევების დიაგნოსტიკისა და მართვის უზრუნველყოფა;

დ) საჭიროების შემთხვევაში, COVID-19-ით ინფიცირებულ ორსულთა მართვა „ანტენატალური და პერინატალური სამსახურების რეგონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/ნ ბრძანებით განსაზღვრული დონის ქონის მიუხედავად.

2<sup>1</sup>. „საქართველოში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საექვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო დაწესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის №01-467/ო ბრძანების 2<sup>4</sup> პუნქტით გათვალისწინებული სტატისტიკური ინფორმაციის სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის საწოლების მართვის ელექტრონულ სისტემაში (mincb.moh.gov.ge) არასრულად და/ან ვადის დარღვევით ატვირთვა ან აუტვირთველობა გამოიწვევს დაჯარიმებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2<sup>2</sup>. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილე ნებისმიერი სტაციონარული დაწესებულება ვალდებულია განხორციელოს COVID-19-ის საექვო და დადასტურებული შემთხვევების დიაგნოსტიკისა და მართვისთვის სამედიცინო დაწესებულებების საწოლფონდის მობილიზება ან გამოყოფა სამინისტროს მითითების შესაბამისად.

2<sup>3</sup>. ამ მუხლის პირველი და 2<sup>2</sup> პუნქტებით განსაზღვრული სამინისტროს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას, თუ სასამართლოს განჩინებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2<sup>4</sup>. ამ მუხლის პირველი და 2<sup>2</sup> პუნქტებით მიღებული გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, საქმიანობის სანებართვო პირობად განსაზღვრის მიუხედავად, წარმოადგენს იზოლაციისა და კარანტინის წესების დარღვევას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებებში განხორციელებული მომსახურება მოიცავს:

ა) COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების სამართავად მობილიზებული დაწესებულებების (შემდგომში – კოვიდკლინიკა) მიერ მაღალი რისკის პაციენტების (საკარანტინე ან თვითიზოლაციის სივრცეებში მყოფი პირები, COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების კონტაქტები) პირველად ტრიაჟს, დიაგნოსტიკას, COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების, მათ შორის, სხვა სამედიცინო დაწესებულებებიდან რეფერირებული პაციენტების, მართვას;



ბ) COVID-19-ის საექვო შემთხვევების სამართავად მობილიზებული დაწესებულებების (შემდგომში – ცხელების კლინიკა) მიერ ცხელების მქონე ნებისმიერი პაციენტის პირველად ტრიაჟს, დიაგნოსტიკას, COVID-19-ის დიაგნოზის დადასტურების შემდეგ პაციენტის რეფერალს უახლოეს კოვიდკლინიკაში, გარდა მძიმე შემთხვევებისა, რომელთა რეფერალისთვის სამედიცინო დაწესებულების შერჩევა ხდება სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მითითების საფუძველზე; COVID-19-ის დიაგნოზის გამორიცხვის შემთხვევაში, პაციენტის შემდგომი გამოკვლევებისა და მკურნალობისთვის გადამისამართებას უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში.

4. ამ მუხლის მიზნებისათვის, ქვეყნის მასშტაბით ნებისმიერი სტაციონარული დაწესებულება ვალდებულია, უზრუნველყოს ცხელების მქონე პაციენტის საწყისი ტრიაჟი, სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტის მომსახურება იზოლირებულ გარემოში, სამედიცინო პერსონალის მიერ ინფექციის კონტროლის ზომების მკაცრად დაცვით.

4<sup>1</sup>. ამ მუხლის მიზნებისათვის, ქვეყნის მასშტაბით ნებისმიერი სტაციონარული დაწესებულება ამავე დაწესებულების ბაზაზე მკურნალობაზე მყოფი პაციენტების და/ან სამედიცინო პერსონალის COVID-19-ით ინფიცირების შემთხვევაში, ვალდებულია, ადგილზე უზრუნველყოს COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების მართვა იზოლირებულ გარემოში, სამედიცინო პერსონალის მიერ ინფექციის კონტროლის ზომების მკაცრად დაცვით.

4<sup>2</sup>. ამ მუხლის 4<sup>1</sup> პუნქტითა და მე-8 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მიზნებისათვის, ქვეყნის მასშტაბით ნებისმიერი სტაციონარული დაწესებულება დროებითი ღონისძიების სახით გათავისუფლდეს ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის სანებართვო დანართის ფლობის ვალდებულებისგან.

4<sup>3</sup>. ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, გადაუდებელი აუცილებლობისას, COVID-19-ის საექვო და დადასტურებული შემთხვევების გაზრდილი რაოდენობის სამართავად, მობილიზაციის სქემაში ჩართულ სამედიცინო დაწესებულებებთან ერთად გამოყენებულ იქნეს არასამედიცინო დაწესებულებ(ებ)ის სივრცე.

4<sup>4</sup>. ამ მუხლის 4<sup>3</sup> პუნქტით განსაზღვრულ სივრცეში პაციენტების სამართავად შესაბამისი სამედიცინო პერსონალის მობილიზება და საჭირო აღჭურვილობით უზრუნველყოფა განხორციელდეს შესაბამისი მობილიზებული სამედიცინო დაწესებულების, ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის ან განმახორციელებლის მიერ, სამინისტროს მითითების შესაბამისად.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ყველა დაწესებულება ვალდებულია, გამოყოს COVID-19-ის ტესტირებისთვის შესაფერისი ბიოლოგიური მასალის აღებაზე, სწრაფი ტესტების შესრულებაზე, შესაფერის შემთხვევაში, გამოსაკვლევი მასალის შენახვასა და ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირები. გამოსაკვლევი მასალის ტრანსპორტირება ხორციელდება სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მიერ განსაზღვრული ინსტრუქციის/წესის შესაბამისად.

5<sup>1</sup>. ამ მუხლის მიზნებისათვის, ქვეყნის მასშტაბით ნებისმიერი სტაციონარული დაწესებულება, რომელიც „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილების მიხედვით, ფლობს სტაციონარული დაწესებულების ნებართვასა და დანართებს რეანიმაციული ან გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (EMERGENCY) მომსახურებაში, სამინისტროს მითითების საფუძველზე, ვალდებულია, დაწესებულების ბაზაზე უზრუნველყოს COVID-19 ვაქცინაციისთვის შესაბამისი ამცრელი კაბინეტებისა და ბრიგადების ორგანიზება, დადგენილი წესის მიხედვით.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ სამედიცინო დაწესებულებებში მომუშავე სამედიცინო პერსონალი (ექიმი, ექთანი, სანიტარი), რომელიც ამავედროულად დასაქმებულია სხვა სამედიცინო დაწესებულებაში, ვალდებულია, ეპიდემიის პერიოდში დასაქმდეს მხოლოდ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დაწესებულებებში. ამასთან, ნებისმიერი სხვა სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია, აღნიშნულ სამედიცინო პერსონალს შეუნარჩუნოს სამუშაო ადგილი (ასეთის არსებობის



შემთხვევაში).

6<sup>1</sup>. ამ მუხლის მიზნებისათვის, ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, დროებითი ღონისძიების სახით, COVID-19-ის მართვის უფლება (გარდა რეანიმაციული მიმართულებისა), მიეცეს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის ნებისმიერ სუბიექტს, სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული სპეციალობისა და კომპეტენციის მიუხედავად;

6<sup>2</sup>. ამ მუხლის მიზნებისათვის, ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, დროებითი ღონისძიების სახით, სამინისტრო უფლებამოსილია, გონივრული ვადით გადადოს ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო და სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარება.

7. ამ მუხლის პირველი, 4<sup>1</sup> და მე-8 პუნქტების შესაბამისად განსაზღვრული დაწესებულებების დაფინანსება განხორციელდეს „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის №4 დადგენილების შესაბამისად.

8. ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, სამინისტრო გადაუდებელი აუცილებლობისას უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ამ დადგენილებისგან განსხვავებული გადაწყვეტილება მობილიზაციასთან დაკავშირებული პირობების შეცვლის და/ან სხვა სტაციონარული ან/და არასამედიცინო დაწესებულების შესაბამისი პირობებით მობილიზაციის შესახებ;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება დაწესებულებების მობილიზაციის სქემიდან გამორთვის შესახებ, მობილიზებული საწოლების რაოდენობის, საწოლფონდის დატვირთვის მაჩვენებლის, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის, COVID-19-ის დიაგნოზის მქონე პაციენტებისათვის სპეციალიზებულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის სურათის, ასევე საწოლების კონსოლიდაციის შესაძლებლობის გათვალისწინებით. ამასთან:

ბ.ა) კლინიკებში, რომლებიც დაექვემდებარებიან მობილიზაციის სქემიდან გამორთვას, გარდა ამავე პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევებისა, სამინისტროს მიერ მითითებული თარიღიდან წყდება COVID-19-ის დიაგნოზის მქონე ახალი პაციენტების შეყვანა;

ბ.ბ) „ბ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ კლინიკებს, სურვილისა და ინფექციის პრევენციისა და კონტროლის სათანადო ზომების დაცვით ჰიბრიდულ რეჟიმში ოპერირების შესაძლებლობის შემთხვევაში, უფლება აქვთ, მიიღონ COVID-19-ის დიაგნოზის მქონე ახალი პაციენტები სამართავად;

ბ.გ) ამ პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში, კლინიკებისთვის COVID-19-ის შემთხვევების დაფინანსება განხორციელდება განსხვავებული წესით, ვიდრე მობილიზებული კლინიკებისთვის.

8<sup>1</sup>. საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საექმო და/ან დადასტურებული შემთხვევების ბინაზე მართვისა და მართვის ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით:

ა) სამინისტროს სისტემის/სამინისტროს მართვაში მყოფი ორგანიზაციის ბაზაზე ამოქმედდეს ცენტრალური ონლაინკლინიკა, რომელიც განახორციელებს ახალი კორონავირუსის (COVID-19-ის) შემთხვევების მართვასა და მეთვალყურეობას, ასევე პროცესის მონიტორინგისა და მართვის ხარისხის კონტროლის განხორციელებას;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის მიზნით, ცენტრალური ონლაინკლინიკა სამუშაო პროცესში ადმინისტრაციული, სააღრიცხვო, ოპერაციული მხარდაჭერისა და მათი კომპეტენციის ფარგლებში, სხვა შესაფერისი დავალებების შესასრულებლად, დაკომპლექტდეს ოჯახის ექიმებისგან, უმცროსი ექიმების/უნივერსიტეტების დამამთავრებელი კურსების სტუდენტებისა და სხვა პერსონალისაგან, შესაბამისი ტრენინგების უზრუნველყოფის შემდეგ;



გ) სადაზღვევო კომპანიებმა უზრუნველყონ კერძო სადაზღვევო სქემებში ჩართული და საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეული პირებისთვის COVID-19-ის საექვო და/ან დადასტურებული შემთხვევების მართვა, მეთვალყურეობა და სატელეფონო კონსულტაცია ოჯახის ექიმების/პედიატრების/მინაგანი მედიცინის სპეციალისტების მეშვეობით;

დ) სადაზღვევო კომპანიებმა მოახდინონ დაზღვეული პირების ინფორმირება COVID-19-ის საექვო და/ან დადასტურებული შემთხვევების მართვისა და მეთვალყურეობის პროცესში ჩართული სამედიცინო პერსონალის საკონტაქტო ინფორმაციის თუ სხვა ორგანიზაციული საკითხების შესახებ;

ე) ამ პუნქტით განსაზღვრული სერვისის მიწოდება არ ითვალისწინებს თანაგადახდას ბენეფიციართა მხრიდან;

ვ) სხვა საკითხები, რომლებიც უკავშირდება ამ პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების აღსრულებას, შესაძლებელია, დარეგულირდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

8<sup>2</sup>. ახალი კორონავირუსული დაავადების – COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინით აცრა განხორციელდეს იმ სამედიცინო დაწესებულებებში, რომლებიც დააკმაყოფილებენ სამინისტროს მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, ამასთან, ამ პუნქტის მიზნებისთვის, ვაქცინაციის ჩატარების უფლება მიეცეთ ექთნებსა და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის ნებისმიერ სუბიექტს, სახელმწიფო სერტიფიკატით ნებადართული სპეციალობისა და კომპეტენციის მიუხედავად.

## 9. დაევალოს:

ა) სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, უზრუნველყოს სამედიცინო დაწესებულებების მზადყოფნის მონიტორინგი ინფექციის კონტროლისა და სუნთქვის აპარატების გამართულობის კუთხით;

ბ) სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს:

ბ.ა) საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს პაციენტების ტრანსპორტირება;

ბ.ბ) (ამოღებულია - 28.02.2022, №91);

გ) სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს:

გ.ა) საჭიროებისამებრ, კლინიკის სრულად მობილიზების შემთხვევაში, უზრუნველყოს მათი დახმარება მიმდინარე პაციენტების შესაბამისი მომსახურების სხვა მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებაში გადანაწილების პროცესში;

გ.ბ) უზრუნველყოს ამ დადგენილების შესახებ სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება.

9<sup>1</sup>. ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების გაზრდილი რაოდენობის სამართავად, მიეცეს უფლება სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს, მის ბალანსზე არსებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა/მანქანები, სამინისტროს მითითების შესაბამისად, დროებით სარგებლობაში გადასცეს ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს, მის მართვაში არსებულ კლინიკებში COVID-19 საექვო ან/და დადასტურებული პაციენტების ტრანსპორტირების მიზნით.

10. ამ მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების აღსრულების მიზნით, შემსყიდველ დაწესებულებებს მიეცეთ უფლება, საჭირო მომსახურების/საქონლის შესყიდვები განხორციელონ გადაუდებელი აუცილებლობით ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობით.





11. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს „2022 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის №4 დადგენილების შესაბამისად.

12. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გათვალისწინებით, სამედიცინო დაწესებულებებისთვის დადგინდეს ლიცენზიის/ნებართვის გაცემის განსხვავებული წესი და, სამინისტროსთან შეთანხმებით, სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიეცეს უფლება, კანონმდებლობით დადგენილი განსხვავებული ვადებითა და პირობებით, შესაბამისი აქტით გასცეს დროებითი სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია/ნებართვა.

13. ამ დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოს“ მიეცეს უფლება, ქ. ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქ. №2-ში მდებარე ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №05.27.09.011) მისამართზე საქმიანობა აწარმოოს არსებული ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე.

14. ამ მუხლით განსაზღვრული ღონისძიებების აღსრულების მიზნით, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალურმა საუნივერსიტეტო კლინიკამ“ (ს/კ: 205165453) არსებული ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე უზრუნველყოს №43.10.42.174 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდეზე (მისამართი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი რუხი) რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (მასზე განთავსებული/დამაგრებული შენობა-ნაგებობის ჩათვლით) გამოყენება ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2-ით) გამოწვეული ინფექციის (COVID-19-ის) სამართავად. ამ პუნქტის მიზნებისათვის შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ უფლებამოსილია, გამოიყენოს მის ბალანსზე არსებული აქტივები, ძირითადი საშუალებები და სხვა რესურსი

15. სტომატოლოგიური მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებები ფუნქციონირებას განაგრძობენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული რეკომენდაციების/მოთხოვნების, ფუნქციონირების წესის შესაბამისად.

16. სამინისტროს სისტემაში შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებისას განკუთვნილი მედიკამენტის გაცემა/მიწოდება, საჭიროების შემთხვევაში, ამავე სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია გათავისუფლდეს ფორმა №3 რეცეპტით გაცემის ვალდებულებისაგან.

- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 ივლისის დადგენილება №451 – ვებგვერდი, 20.07.2020წ.
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №647 – ვებგვერდი, 27.10.2020წ.
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ნოემბრის დადგენილება №686 – ვებგვერდი, 19.11.2020წ.
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 დეკემბრის დადგენილება №764 – ვებგვერდი, 21.12.2020წ.
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის დადგენილება №96 – ვებგვერდი, 12.03.2021წ.
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 8 აპრილის დადგენილება №168 – ვებგვერდი, 09.04.2021წ.
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 აპრილის დადგენილება №169 – ვებგვერდი, 13.04.2021წ.
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის დადგენილება №268 – ვებგვერდი, 09.06.2021წ.
- საქართველოს მთავრობის 2021 წლის 17 აგვისტოს დადგენილება №417 – ვებგვერდი, 17.08.2021წ.
- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 თებერვლის დადგენილება №78 – ვებგვერდი, 17.02.2022წ.
- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 22 თებერვლის დადგენილება №83 – ვებგვერდი, 22.02.2022წ.
- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 28 თებერვლის დადგენილება №91 – ვებგვერდი, 28.02.2022წ.
- საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 მარტის დადგენილება №151 – ვებგვერდი, 29.03.2022წ.

### **მუხლი 19. სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა**

1. (ამოღებულია - 07.02.2022, №55).
2. (ამოღებულია - 07.02.2022, №55).
3. (ამოღებულია - 07.02.2022, №55).

4. საქართველოში Covid-19-ის ვაქცინის დანერგვის ეროვნული გეგმის მიზნებისთვის გამოიყენება ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) საწინააღმდეგო, პროფილაქტიკური აცრისთვის განკუთვნილი ფარმაცევტული პროდუქტი, რომელსაც აქვს





ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ან მის მიერ აღიარებული ნებისმიერი მკაცრი მარეგულირებელი ორგანოს (SRA) მიერ მინიჭებული გამოყენების (მათ შორის, გადაუდებელი გამოყენების) ავტორიზაცია ან პრეკვალიფიკაცია; ან რომელზეც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში წარდგენილია გამოყენების (მათ შორის, გადაუდებელი გამოყენების) ავტორიზაციის ან პრეკვალიფიკაციის განაცხადი, მისი დოსიე განხილვის სტადიაშია და ამასთან, უკვე მიღებული აქვს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის იმუნოზაციის ექსპერტების სტრატეგიულ მრჩეველთა ჯგუფის (SAGE) დადებითი დასკვნა, ასევე აქვს არანაკლებ სხვა 20 ქვეყნის ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ მინიჭებული გამოყენების (მათ შორის, გადაუდებელი გამოყენების) ავტორიზაცია და, ამავდროულად, აღნიშნული ვაქცინით მსოფლიო მასშტაბით აკრილია ქვეყნის სამიზნე პოპულაციაზე 10-ჯერ მეტი პირი.

5. ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისთვის, ქვეყნის მოსახლეობის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხის შემცირებისა და ეპიდემიოლოგიური სიტუაციის სამართავად შემდგომი ღონისძიებების გასატარებლად:

ა) არაკომერციული მიზნით, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ინტერესების არსებობისას, „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შემთხვევათა მართვის კლინიკური ჯგუფის შექმნის შესახებ“ მინისტრის 2020 წლის 16 მარტის №01-101/ო ბრძანებით დამტკიცებული კლინიკური ჯგუფის გადაწყვეტილების საფუძველზე, სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში, სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო უფლებამოსილია, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის სამკურნალოდ გამიზნულ იმ ფარმაცევტულ პროდუქტ(ებ)ზე გასცეს გადაუდებელი გამოყენების ავტორიზაცია (Emergency Use Authorization), რომელსაც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ან აშშ-ის სურსათისა და წამლის ადმინისტრაციის (FDA) ან ევროპის წამლის სააგენტოს (EMA) მიერ მინიჭებული აქვს გადაუდებელი გამოყენების ავტორიზაცია (Emergency Use Authorization);

ბ) უკვე გაცემული გადაუდებელი გამოყენების ავტორიზაციის (Emergency Use Authorization) მქონე ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტი განხორციელდეს „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონითა (11<sup>13</sup> მუხლის „თ“ ქვეპუნქტი) და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 13 ოქტომბრის №327/ნ ბრძანებით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად.

6. სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მიერ გაცემული გადაუდებელი გამოყენების ავტორიზაცია დროებით ჩერდება ან უქმდება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, FDA-ის და/ან EMA-ის მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებ(ებ)ის/რეკომენდაცი(ებ)ის საფუძველზე.

*საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 ნოემბრის დადგენილება №715 – ვებგვერდი, 27.11.2020წ.  
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მაისის დადგენილება №228 – ვებგვერდი, 19.05.2021წ.  
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 24 სექტემბრის დადგენილება №476 – ვებგვერდი, 27.09.2021წ.  
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 7 თებერვლის დადგენილება №55 – ვებგვერდი, 07.02.2022წ.*

## **მუხლი 20. საჯარიმო სანქციების აღსრულება**

1. 2020 წლის 1 ივლისამდე, გაგრძელდეს მორატორიუმი „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების ფარგლებში მიმწოდებელი დაწესებულებებისათვის პროგრამის ადმინისტრირების ორგანო(ებ)ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტ(ებ)ით განსაზღვრული საჯარიმო (მათ შორის, სადავო) სანქციების, ამავე დადგენილების №1 დანართის 19<sup>1</sup> მუხლითა და „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრირების დამატებითი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 13 თებერვლის №66 დადგენილებით განსაზღვრულ გადახდის ადმინისტრირების ღონისძიებებზე, ამ მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულებები, მითითებული ვადით, გავრცელდეს ასევე შესაბამისი წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების (მათ შორის, 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებით დამტკიცებული „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამა“) ფარგლებში განსაზღვრული საჯარიმო სანქციების აღსრულებაზე.



3. „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების №1 დანართის 19<sup>1</sup> მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საჯარო სანქციების გადახდის განაწილვადების წერილობითი შეთანხმების მოქმედება შეჩერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ვალდებულების შესრულების სათანადო უზრუნველყოფის (ვალდებულების ოდენობის შესაბამისი გარანტია) მოქმედების ვადის გადაწევას შესაბამისი პერიოდით და განმახორციელებლისათვის წერილობითი ფორმით წარდგენას.

## **მუხლი 21. ქონების მართვასთან და ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ღონისძიებები**

1. სამინისტრომ და მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ-ებმა ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო აღკვეთის ღონისძიების ფარგლებში მოძრავი სახელმწიფო ქონების შესაბამისი ორგანიზაციისთვის/დაწესებულებისთვის გადაცემა განახორციელონ მოქმედი კანონმდებლობის, „აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების მიერ ერთჯერადი გამოყენების, სწრაფცვეთადი საგნების, ფარმაცევტული და კვების პროდუქტების კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის ან/და ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მოხმარების მიზნით გადაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 20 ივლისის №285 დადგენილების და/ან „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანოსათვის, მუნიციპალიტეტისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 24 დეკემბრის №791 დადგენილების შესაბამისად. ამასთან, არ გავრცელდეს სახელმწიფო ქონების გადაცემასთან დაკავშირებული ამავე დადგენილებებით განსაზღვრული ვადები.<sup>4</sup>

2. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამინისტროსა და მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ-ებს მიეცეს თანხმობა, კორონავირუსის პრევენციის მზადყოფნისა და რეაგირების ღონისძიებების ფარგლებში კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის შესაბამისი მოძრავი ქონების უსასყიდლოდ, აუქციონის გარეშე, გადაცემა განახორციელოს საკუთარი გადაწყვეტილებით.

3. სამინისტრო და მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ები გათავისუფლდნენ:

ა) „უცხოელი კონტრაქტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების და „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების მოთხოვნებისაგან;

ბ) ახალი კორონავირუსის (COVID-19) პრევენციისა და აღკვეთის ღონისძიების ფარგლებში შესაბამისი საქონლისა და მომსახურების შესყიდვების განხორციელებისას;

ბ.ა) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის გათვალისწინებით, ამავე ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით, მე-11 მუხლის პირველი და 1<sup>1</sup> პუნქტებით, მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ასევე მე-13 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნებისაგან;

ბ.ბ) „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 12 იანვრის №6 დადგენილების მოთხოვნებისაგან.<sup>4</sup>

4. ახალი კორონავირუსის (COVID-19) აღკვეთის ღონისძიების ფარგლებში სამინისტროსა და მის სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-ების, აგრეთვე ამ დადგენილების მე-18 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი შემსყიდველი სამედიცინო დაწესებულებების მიმართ:



ა) არ გავრცელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე დადგენილი სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმების მინიმალური ვადები;

ბ) გავრცელდეს ამ დადგენილების მე-18 მუხლის მე-10 პუნქტის დებულებები, შინაარსის გათვალისწინებით.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 29 იანვრის დადგენილება №37 – ვებგვერდი, 29.01.2021წ.

**დანართი №1 (ამოღებულია)**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ნოემბრის დადგენილება №686 – ვებგვერდი, 19.11.2020წ.

**დანართი №2 (ამოღებულია)**

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 19 ნოემბრის დადგენილება №686 – ვებგვერდი, 19.11.2020წ.



## იზოლაციას დაქვემდებარებული პირის ინფორმირების ფორმა<sup>1</sup>

საქართველოს ტერიტორიაზე ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების შეჩერების მიზნით, ქვეყანა, როგორც დანარჩენი მსოფლიოს ნაწილი, მიმართავს კანონმდებლობით განსაზღვრულ იზოლაციის (შემზღუდავ) ღონისძიებას (კარანტინს), რაც გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიაზე თქვენი გადაადგილებისა და განთავსების შეზღუდვას 8/12 დღის განმავლობაში, იზოლაციის პერიოდში (თვითიზოლაცია ან კარანტინი).

- იზოლაციის (თვითიზოლაცია, კარანტინი) სივრცეში იკრძალება ვიზიტორების მიღება.
- დასაშვებია იზოლაციაში მყოფი პირის არაპირდაპირი კონტაქტით საკვებისა და პირადი საჭიროების საგნების/ტანსაცმლის, ხოლო საჭიროებისას – მედიკამენტების გადაცემა.
- საცხოვრებელ სივრცეში მყოფ სხვა ადამიანებთან კონტაქტი შეზღუდულია მინიმუმამდე. დაუშვებელია 1 მეტრზე ახლო კონტაქტი 15 წუთზე მეტი დროით.
- იზოლაციის პერიოდში პირი სარგებლობს განცალკევებული ჭურჭლით (ჭიქა, თეფში, კოვზი და ა.შ.), პირსახოცით და საწოლით, ერთჯერადი ინვენტარით.
- იზოლაციაში მყოფ პირს შეუზღუდავად შეუძლია ისარგებლოს სატელეკომუნიკაციო კავშირით (მათ შორის, ინტერნეტით).
- იზოლაციის პერიოდის განმავლობაში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ან/და სამინისტროს შესაბამისი სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს იზოლაციაში მყოფი პირის პერიოდულ მონიტორინგს.
- იზოლაციაში მყოფი პირის სამედიცინო დახმარების საჭიროების შემთხვევაში, კლინიკაში/კლინიკიდან ტრანსპორტირება ხორციელდება სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მიერ, სპეციალური ავტოტრანსპორტით, საჭიროებისამებრ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის თანხლებით. იზოლაციაში მყოფი პირი სტაციონარში განთავსდება ბოქსირებულ პალატაში, საიზოლაციო პერიოდის ვადის გასვლამდე.
- იზოლაციაში მყოფ პირს მოეთხოვება თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებისგან თავის შეკავება და ეკრძალება ექიმის დანიშნულების გარეშე ფსიქოაქტიური ნივთიერებების გამოყენება.

- იზოლაციაში მყოფი პირის მიერ იზოლაციის ადგილის დატოვება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუცილებელია მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევა, რის თაობაზეც დაუყოვნებლივ ეცნობება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის შესაბამის სამსახურს.
- იზოლაციაში მყოფ პირს იზოლაციის პერიოდში ეკრძალება სხვა პირებთან ურთიერთობა, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ რეკომენდებული დამცავი საშუალებების გამოყენების გარეშე.

ინფორმირებული ვარ, რომ სახელმწიფო იზრუნებს ჩემს განთავსებაზე იზოლაციის მიზნით და კარანტინის პერიოდის განმავლობაში ბაზისური საჭიროებებით უზრუნველყოფაზე.

ჩემთვის ცნობილია, რომ იზოლაციის/კარანტინის წესების დარღვევა გამოიწვევს:

- ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ჯარიმას ფიზიკური პირებისთვის 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირებისთვის – 10 000 ლარის ოდენობით.
- ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით, ხოლო ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედებისთვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.

გავეცანი/ვეთანხმები: გვარი, სახელი (გარკვევით)

საკონტაქტო ტელეფონი:

ხელმოწერა:

თარიღი:

---

<sup>1</sup> ფორმა, ქართულ ენასთან ერთად, აგრეთვე შესაძლოა იყოს არასახელმწიფო ენაზეც.